ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ37. 3724152001**

თარიღი:**31/05/2024**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის თანამდებობაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწის - იაკობ დოლიძის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და 90-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის თანამდებობაზე განისაზღვროს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **თავმჯდომარის თანაშემწე - იაკობ დოლიძე**.

მუხლი 2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **თავმჯდომარის თანაშემწემ - იაკობ დოლიძემ,** უზრუნველყოს, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტითა და მოქმედი ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების განხორციელება.

მუხლი 3. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, აღნიშნული ბრძანების გამოცემიდან 10 სამუშაო დღის ვადაში:

ა) პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს ეცნობოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა, მისამართი);

ბ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე, საკრებულოს სოციალურ ქსელში პროაქტიულად გამოქვეყნდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა, მისამართი).

მუხლი 4. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სამდივნო განყოფილების ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში უფროს სპეციალისტს ამ ბრძანების შესრულების მიზნით, მოამზადოს საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწესთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

მუხლი 5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 6. ბრძანება ძალაშია 2024 წლის 1 ივნისიდან.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი